იმერეთი

№ 5

წელიწადი მეოთხე.

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

კვირა 11 იანვარი 1915 წ.

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 ად. ცალკე ნომერი ერთი შაური. წლიური ხელის მოწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიან ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დრო: 3 მარტამდე, კიდევ ნაწილ-ნაწილათ. სახელგარეთო წლიურათ 14 მან., ნახევარ წლით 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ერთ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

6 იანვრიდან გამოდის ყოველდღიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგი დღეებისა.

გაზეთის ღირს:

1 წლ.—7 მ. 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მ. 10 შ., 1 თვით—1 მ. 40 შ. საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება: გამოწერის დროს 3 მ. 1 აპრილს 2 მ. და 1 ივნისს 2 მ.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი ბ. ი. გოგაელოგისა.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენციების ავტორებს სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მისამართი: Кутаисъ, ред. „Имерети“ почт. ящ. № 39.

მადლიელი მისეულ და მეულღე მისი ალექსანდრა ნაცვალიშვილები შეილებითურთ, ივანე და თამარ ცხეტაშვილები, ასკობ და ბაბალე ცინცაძენი შეილებითურთ, პარშენ და ბაბალე ტყვარაშვილები შეილებითურთ და სხვა ტაბლაშელი გულითად მწუხარებას უცხადებენ მათის ძვირფასის მეგობრის, ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპულ შტაბს-კაპიტანის

თავ. გიორგი მიხეილის ძე ხერხეულიძის—ფოცხოველის

მეუღლეს, ნათესავებს და ნაცნობებს.

ალექსი პეტრეს ძე მოგელაძე და მეუღლე მისი სადიკო ჩოგავაძის ასული აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი აწ გადაცვალებულის მათი ასულის

მარიამ (მარუსია) მოგელაძის

დანიშნულია პეტრე-პავლეს ეკლესიაზე ამა იანვრის თვის 11 რიცხვს, დღით კვირას, 12 საათზე.

არქიმანდრიტი დოსითეოსი და მაქმიმე დვითის ძე ბერძნიშვილი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 იანვარს საღამოს 7½ საათზე ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა უსაყვარელესი შვილი პირველისა, ხოლო მეორისა ძვირფასი ძმა სტეფანე

იაკობ დავითის ძე ბერძნიშვილი.

პანაშვიდები ყოველდღე დილით 11 საათ. და საღამოთი 5 საათზე მოწამეთას მონასტერში.

სტუდენტი,

უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლებს ყველა კლასებისთვის. აგრეთვე უმაღლესი დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლების მასწავლებლებად, „ჩინზე“ და ოფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული, მისამართი: ძველი თფილისის ქუჩა. ჟორჟოლაძის სახლი. 6—2.

კბილის ექიმები.

მენაღარიშვილი და ტარუაშოვა

დროებით

ბათუმიდან გადმოვიდენ

ქ. ქუთაისში.

თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფარალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6.

არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას.

აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამოდენიმე სეანსზე ხელი საშვალებით.

სამკურნალო

ქაბინეტი ელექტროენისა და სინათლის

ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელის შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. (თ).

დოქტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ხარკოვის უნივერსიტეტის, ვარლამ პ—ძე მოსეშვილი 7 დეკემბრიდან ავათმყოფების მიღებას დაიწყებს (შინაგანი და ნერვებით სნეულებიანი) დილის 8—3 საათამდი, გოშპიტლის ქუჩა, ბახოლომე მოსეშვილის სახლში № 6.

ექიმი ი. ჩარქოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

ქ. ქუთაისი

მოსკოვის უდიდესი ფირმა

ამხანაგობა

„ნ. უდალოვი & ი. ვაინილოვი“

პატივისცემით აუწყებს ბ.ბ. მეიდველებს და კლიენტებს, რომ მან სრულ საკუთრებათ შეიძინა ბარტიობით საქონლის საწყობი და წვრილი საგაჭრო მაღაზია ბაებზე დამეარებული ამხანაგობის

„ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი“-ს,

რომელიც მდებარეობს ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ.

როგორც წარმომადგენელს პრომსორგოვის ტრიოგორნი სამანუფაქტურო ამხანაგობისა ამხანაგობა „ნ. უდალოვს და ი. ვაინილოვ“-ს

აქვს დიდი საფაბრიკო საწყობები სამანუფაქტურო საქონლის მოსკოვში და როსტოვში, რის გამოც მას შეძლება ეძლევა ქუთაისის განყოფილებისათვის მუდმივათ იქონიოს დიდძალი ასორტიმენტი სამანუფაქტურო საქონელი სხვა-დასხვა ცნობილი ფირმების.

ევროპის ომი.

კეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

ლონდონი. 8 იანვარი. ნიუორკიდან დეპეშებით იტყობინებიან, დილის გაზეთების უმრავლესობამ მოწვავე წერილები მოათავსა ცეპელინების თავდასხმის შესახებ. ყველანი სასტიკათ კიცხავენ გერმანიას ამ თავდაკიმისათვის.

პარიზი. 8 იანვარი. რუმინის ელჩი ტუვარა ბელგიის მთავარ ბინაში გაემგზავრა მეფისადმი რწმუნების ღირამოტის ჩასაბარებლათ. მიწათმოქმედების მინისტრმა გამოაქვეყნა ცნობები საფრანგეთში პურის ხორბლის რაოდენობის შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, საფრანგეთი სანოვაგის მხრით უზრუნველყოფილია.

პეტროგრადი. სამხედრო მიმოხილვა. ოფიციალური. 8 იანვარს გალიციაში ბრძოლა განსაკუთრებით არტილერიით სწარმოებდა. სალამის, 5 იანვარს, რადლოვის რაიონში, მტერმა არტილერიის ცეცხლი სოფელს წაუკიდა. გამბით მოიტანეს ჩვენზე იერიში. მიაღწიეს მავთულის ღობეს. ჩვენი არტილერიის ცეცხლით უკუქცეულ იქნენ. კარპატის მთის გასვლებში იერიში გრძელდებოდა. 5 იანვარს აღმოსავლეთით ჩვენ დავიკავეთ პოზიცია და კანეშტადი. ჩვენი ჯარის მიახლოვებისას ავსტრიელები იარაღს ყრიდენ და თეთრ ბაირაღებს გვიჩვენებდნენ, როდესაც ჩვენი ჯარი მივიდა ახლოს, ისინი არტილერიის ცეცხლში გადავიდნენ და მათი პოზიცია დავიკავეთ სასტიკ ბრძოლას შემდეგ. კავკასიის ფრონტზე ოსმალების ჯარს ვსდევნით. 5 იანვარს, ჩვენ დავიკავეთ სოფელი ტერევეტი.

პეტროგრადი. 9 იანვარი. ოფიციალური. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან: ქვეღა ვისლის მარჯვენა ნაპირზე, მდინარიდან ხორკლემდე და აღმოსავლეთისკენ მტრის პირდაპირ ვსდევდავართ და მცირე შეტაკებები ხდება. მდ. ვისლის მარცხენა ნაპირზე და დუნაიცაზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ზოგიერთ ნაწილში ხდებოდა მხოლოდ თოფით და დარტყლერიით სროლა. ბუკოვინაში ავსტრიელები დიდძალ ჯარს აგროვებენ. შავ ზღვაზე 6—7 იანვარს დავღუპეთ ოსმალეთის რამდენიმე იალქნიანი გემი, ხოპისა და რიზის რაიონებში ზარბაზნების დაშენით დავსწვით და დავიზიანეთ ოსმალეთის კაზარმები. დავანგრიეთ მაიაკი და დავუშინეთ ხიდს.

კავკაზი. 9 იანვარი. საათსა და 20 წუთზე ძლიერი მიწის ძვრა იყო. გაგრძელდა 4 წ.

პარიზი. 8 იანვარი. ოფიციალური. იუწყებიან, რომ საფრანგეთის ჯარის მთავარსარდალმა კვლავ მიაქცია საფრანგეთისა და ნეიტრალურ სახელმწიფოების საზოგადო ყურადღება იმ ყალბ ცნობებზე რომელსაც გერმანიის მთავარი შტაბი აქვეყნებს სამხედრო მოქმედების შესახებ. მაგალითად, უკანასკნელი ცნობებით, საფრანგეთის დანაკლისის რაოდენობა გაორკეცებულია. უკანასკნელ კვირეებში საფრანგეთის სამხედრო მთავრობამ, ყველა ბრძოლებს შემდეგ მაკლულთა გამოანგარიშებულ რიცხვისა მიხედვით, დაადასტურა, რომ საფრანგეთის ზარალი გაცილებით მცირეა გერმანიისაზე. გერმანელებისაგან გამოქვეყნებულ ცნობების სიყალბე დამტკიცებულია ახლახან გამოქვეყნებულ ცნობით, ვითომც მათ პოტრდამდელორთან გაიმარჯვეს, მაშინ, როდესაც ფრანგებმა იგინი უკუაგდეს და ტყვეთ ჩაიგდეს ხელში გერმანელების ერთი როტა. იპრთან ბრძოლების დასრულებას შემდეგ, როცა გერმანელებმა იერიშების მოტანა დაიწყეს ფრანგების მარცხენა ფრთის წინააღმდეგ, სამხედრო მოქმედებამ ნამდვილი საალყო ხასიათი მიიღო, ფრანგების ჯარი სახოგადოთ წინ მიიწევდა რამდენიმე პუნქტზე და გერმანელები თითქმის მთელ ხაზზე უკან იხევდნენ. გამონაკლისს მხოლოდ ერთი რაიონი შეადგენს სუასონის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ გერმანელების იერიშები პოლშაში ერთი თვის განმავლობაში უნაყოფოა, რომ გალიციაში რუსის ჯარს შეუკავებლივ იერიშები მიაქვს და რომ ოსმალეთის ჯარი კავკასიაში სრულებით განადგურებულია. აღსანიშნავია აგრეთვე გერმანელების კარგების დასუსტება. ყოველივე ამის გამო, დამტკიცებით შეიძლება ითქვას, რომ სრული წარმატების მისაღწევათ საფრანგეთსა და მოკავშირეთათვის საჭიროა შეუდარებელი მოთმინება, მომხდება ნიადაგისა და გერმანელები მალე იქნებიან შემუსვრილი.

დონდონი. 8 იანვარი. მეღვინურიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ავსტრალიის სატახტო ქალაქი მელბურნიდან სიდნეიში გადააქვთო. ავსტრალიის მთავრობა იმიტომ მოიქცა ასე, რადგანაც ამ ქალაქის მცხოვრებლები ავსტრალიელები არიან და სურთ გაალიერონ დემოკრატიული წყობა ყველა შტატების კავშირთან.

ბანხეთქილება სპარსეთის ხაზინაში. თეირანი. 7 იანვარი. ჟანდარმერიისა და მთავარ ხაზინას შორის განხეთქილება ჩამოვარდა შეტევის აფიცრებისაგან ხაზინის პროვინციის განყოფილების ძალით ხელში ჩაგდების გამო. ასეთმა თვითნებობამ მთავარ ხაზინაში გუნის წყარო გამოიწვია და ხაზინის გამგემ ბელგიელმა გეისანსმ ფორმალური პროტესტი წარადგინა. მთავარმა ხაზინადარმა მოითხოვა, ჟანდარმერიამ დაუყონებლივ დასტოლონ ყველა ხაზინა და გამოიწვიონ დამნაშავე შეიტიის აფიცრები ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. გეისენსმა მთავარი ხაზინა და მისი განყოფილებები დახურა. სპარსეთის მთავრობის რაყვის გამო, რომელიც ჟანდარმერიას ხელს უწყობს, კრიტიკული მდგომარეობა ჯერ გამორკვეული არაა.

ოსმალეთის ასპარეზი.

კავკასიის ჯარის შტაბისაგან.

შეტროგრადი. 9 იანვარი. 8 იანვრის განმავლობაში ყველა რაიონში მცირე შეტაკებები ხდებოდა. დიდი შეტაკება მხოლოდ ჭოროხის იქით მხარეში მოხდა, სადაც ყველა იერიში, მიუხედავათ ოსმალოების მეტად წინააღმდეგობისა, წარმატებით გმეღდება. არდოსთან ოსმალოებს ზარბაზნები წავართვით.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

კამენდანტ ტარნამ ყველა მცხოვრები გააძევა. შენობებში მოთავსებულია ლაზარეთები.

— —

გერმანელებს გაჰყავთ რკინის გზები ნამიერიდან ფრანგების საზღვრამდი ჯარების გადასაყვანათ. საფრანგეთში დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი.

— —

სახელმწიფო სათათბირო გაიხსნება 27 იანვარს განსაკუთრებულ სადღესასწაულო ზეიმით.

— —

საკურორტო სხდომაზე კავკასიის წარმომადგენელმა ტარნოპოლსკიმ განაცხადა, საჭიროა სხდომამ განიხილოს საკითხი ებრაელების კურორტებზე თავისუფლათ დაშვების შესახებ, რომელთაც ასი ათასობათ მან. გააქვთ სახღვარ გარეთ. სხდომას დაესწრო 1200 დელეგატი.

— —

ინგლისელები ემხედებიან გერმანელების სანაპიროებს ყუმბარების დაშენით.

— —

ოსტენდეში შიმშილი ჩამოვარდა. გერ-

მანელები მცხოვრებლებს დახოცილ ცხენების ხორცით ჰკვებავენ.

ვარშავიდან გვატყობინებენ, რომ გერმანელებისგან დაბურობილ ქალაქების კომენდანტებმა არა სიმედო პირთა სიები მიიღეს. დაიწყო ჩხრეკა, დატყვევება და დახვრეტა. გზადაგზა, გერმანელები რძის რეკვიზიციის ახდენენ ავითმყოფთათვის.

— —

ლოძს სახელათ ნოვი ბრესლავლი დაარქვეს.

— —

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ რუსის ჯარის მიერ ბუკოვინაში დაბერილ რკინის გზებზე თანდათან მიმოსვლა ახლდება.

— —

ავსტრიის არისტოკრატია ძალიან აღშფოთებულია. ფული და ძვირფასი ნივთები უშიშარ ადგილებში იგზავნება

— —

გერმანიაში ბენზინმა საგრძნობლათ იკლო. გერმანელები მცნაურებს ალკოგოლს ახმარებენ.

— —

როგორც ხმობინა, ამ ბოლოს დროს ვილჰელმი ისევ ცუდათ გახდა.

— —

ბუქარესტში დამყარებით ამბობენ, რომ სამი კვირის შემდეგ რუმინის ჯარი ტრანსილვანიას დაიკერსო, ავსტრიას ომის გამოუცხადებლათ, იქ მცხოვრებ რუმინელების დასაცავათ.

— —

ამერიკაში დიდი აღშფოთება სუფევს გერმანელ „ცეპელინების“ ინგლისზე თავდასხმის გამო. „ცეპელინებმა“ დაუშინეს რა ინგლისს ყუმბარები ჰოლანდიის ერთ ნაწილზე გადაფრინეს.

— —

ბელგიაში და საფრანგეთში და გერმანელ კათოლიკეთა შორის ვრცელდება დატმრთებულ კარდინალ მერიეს სპრატეტსტო წერილები, მისი დატმრთების წინააღმდეგ.

— —

სამრძნეთიდან ცნობების მიხე ვით, „გებენი“ როგორც სამართალ გამოუსა დგარი, მცურავ გემებთათ არის გადაქცეული. „ბრესლაუ“ და „გამიდიე“ ბრძოლის ასპარეზს ჩამოაშორეს ნახევარ წლამდი.

— —

პორტამ უარყო მოთხოვნა, ერზრუმში ოსმალეთის შტაბის გამაგრების შესახებ.

— —

სხვადასხვა ცნობებიდან, სპარსეთში დღევანდელ საქმის ვითარების შესახებ, უნდა ვცნოთ უფრო სარწმუნოთ ის, რომ ახლო მომავალში სპარსეთი ოსმალეთის ხელში ბრმა იარაღათ გარდაიქცევა. ამიტომ ჩვენს სპარსეთის საზღვრის გამაგრებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს, რაც შეიძლება მალე, რათა ოსმალეთის ჯარს საზღვარზე გადმოსასვლელათ ხელი შეუშალოთ.

ბერხტჰოლდის სამსახურიდან გასვლის გამო.

ბუქარესტი. რუმინის პრესა დიდს მნიშვნელობას აძლევს ბერხტჰოლდის სამსახურიდან გასვლას, რასაც ავსტრიის დამარცხებით ხსნის და მის მაგივრათ უნგრელ ბურიანის დანიშვნაში მადიარიზმის გამარჯვების ხედავს, ხოლო ვილჰელმის პოლიტიკის დამარცხებას, რომელიც ბერხტჰოლდის საშუალებით უნდოდა რუმინელები დთმობით მოემადრიელებინა. რუმინის პრესა შიშობს, ავსტრიამ რუსეთთან ზავი არ ჩამოაგდოს, რითაც მას ყოველი იმედი ეკარგება ტრანსვალიაზე. რუმინის გაზეთების აზრით, სამსახურიდან გადაყენება გამოწვეა სერბიაში ავსტრიის დამარცხებამ და ტისას დატენებამ, რომელიც ბერხტჰოლდის დამოუკიდებლათ მოქმედობდა.

— —

აცნობა რა რადოსლავოვს ბურიანის გარეშე საქმეთა მინისტრათ დანიშნვა, ავსტრიის ელჩი ბუდაპეშტის პრემიერს არწუნებდა, რომ ეს დანიშნვა ავსტრიის პოლიტიკაში არავითარ ცვლილებას არ გამოიწვევს, ამასთან დაუმატა, რომ მას მინდობილი აქვს ბუდაპეშტის მთავრობას ავსტრო უნგრეთის გარეშე საქმეთა ახალი მინისტრის ხელვალე თანაგრძნობა გამოუცხადოს.

— ახალმა მინისტრმა,—განაცხადა ავსტრიის ელჩმა,— გადაწყვიტა თავისი მხრით ეცადოს ავსტრო ბულგარეთის მეგობრობის განმტკიცებას

აქაური ავსტროფილური გაზეთები ოგონებენ იმ დროს, როცა ბურიანი აქ ელჩათ იყო და როგორ ბულგაროფილობას, ენერგიასა და ნიჭს ჩენდა.

მენადიევის მისსია.

გენადიევის მოსვლის გამო, საუბარი მჭონდა ბულგარეთის დიპლომატიის წარმომადგენელთან. საქმე იმაშია, რომ ტატიასა, ბულგარეთსა და რუმინიას შორის გენადიევს შეთანხმების ახალ პროექტს აწერენ, ბალკანეთის ლიგის დამარცხებულ პროექტის საცვლათ.

ბულგარეთის დელეგატი ირწმუნება, მან არ იცის გენადიევის მოგზაურობის მიზანი, რადგანაც დღეს ყველა საელჩოებმა თავის მთავრობებთან კავშირი გაწყვიტეს.

ურთიერთ შორის კონფიდენციალური მიწერ-მოწერა შეუძლებელია, რადგანაც შიფროვან დეპეშებს არ ღებულობენ. საგანგებო კურიერი შეიძლება დაკავებულ იყოს რომელიმე სახელმწიფოში მოგზაურობის დროს. მაგალ., სახერძნეთში, სერბიასა ან ოსმალეთში.

რასაკვირველია, გენადიევი მოვიდა აქ არა როგორც ტურისტი. მით უფრო დღეს ისეთი დრო არ არის, რომ პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ევროპაში გასართობათ იმგზავრონ. რაც შეეხება ბულგარეთ-იტალიის შეთანხმებას, ამის შესახებ ხმები ძალიან გაზვადებულია გაზეთებში. ყოველ შემთხვევაში შეთანხმება თუნდაც რომ მოხდეს, იგი მაინც განსხვავდება ბალკანეთის ლიგისაგან. ბალკანეთის ლიგის პროექტის ნეტარი რუსეთის წინააღმდეგ ჯუნდა ყოფილიყო მიმართული და, რადგანაც იტალია დღეს ფიქრობს დაიცვას რუსეთთან მეგობრობა, ამიტომ ასეთ პროექტებს მხარს არ დაუჭერს.

სულ სხვაა—რუმინია. მას იტალიასთან, ეჭვი არარის, შეთანხმება აქვს. აკტიური გამოსვლა ორ ლათინურ მხარესი დასაჯერებელია. შეიძლება მხოლოდ ითქვას, რომ რუმინია, მიუხედავათ ზოგიერთა ფრისა, არაფრის გულისათვის იტალიაზე ადრე ომში არ ჩაერევა. საქმე იმაშია, რომ იტალიისათვის ომი ნაკლებ ხიფათს წარმოადგენს, ვიდრე რუმინისათვის. იტალიის საზღვრების წინააღმდეგ ავსტრიის დაფლურერებული ჯარი იქნება მომართული. შეიცარია თავის ტერიტორიაზე გერმანელების ჯარს არ გაატარებს და შეიცარიის შემოვლა ტროლის მთების ძალიან საეჭვო. სამაგიეროთ მეორე მხრით გერმანიის ჯარს ალმოსავლეთით შეუძლიან თავისი ფრონტი გაფართოვოს და ამ ნაირათ რუმინის საზღვარი დაიცაროს. ბუქარესტშიც ასეთ შიშს ანგარიშს უწევენ.

რაც შეეხება ბულგარეთს, იგი მთელი ხალხის სურვილითაა გაძღენთილი—უკან დაიჭეროს დობრუდჟი და მაკედონია.

პირველი კითხვის გადასწყვეტათ უნდა ვიფიქროთ, რომ რუმინია თუ ტრანსილვანიას მიიღებს, სილისტრიისა და ბალჩიკს გულისთვის ბულგარელებს არ შეებრძოლება და დაკმაყოფილდება 1913 წლ. დაკარგულ საზღვრების აღდგენით. რუმინიას კარგათ ესმის, რომ ყოველი ახალი შეძენა შესაფერ მხვერპლს მოითხოვს. ბულგარელებისთვის კი დობრუდჟა მასაზრდოებელ ადგილს წარმოადგენს. მაკედონიის საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიანის გზით ნაკლებათ სჩნდება. აქ ბულგარელები თავიანთ მოთხოვნილებებს არაფერს ჩამოაჭრიან. მათთვის ეს საკითხი სამკვდრო სასიცოცხლოა. მათი მოწინააღმდეგენიც არას სთმობენ.

ბერძნებს სრულებით არ სურთ ბულგარეთის კავალა დაგვითმონ.

თქვენ ამბობთ, იმ შემთხვევაში, თუ სამთა შეთანხმება გაიმარჯვებს, შეიძლება სერბიასთან მაკედონიის შესახებ მორიგება, იმ მოსაზრებით, რომ სერბიის ტერიტორიის გადიდება ავსტრიის მიწებით, ისედაც ერთი სამთ გადიდებს მის ტერიტორიას.

მე კი გეუბნებით თქვენ, რაც შეიძლება რუმინის შესახებ, ის სერბიის შესახებ შეუძლებელია. ისევ სამთა შეთანხმების ზეგავლენით, ვიდრე ძალით შეიძლება სერბია რიმი დათმობაზე წავიდეს.

ამასთან ნუ დაუჯერებთ გაზეთების ხმებს, ვითომ მადიარების სურდეთ განკალკევება, რისთვისაც სპეციალურ ზავს მოითხოვდენ. პირიქით ისინი სამთა შეთანხმების ბურჯს წარმოადგენენ, უკანასკნელ შემთხვევაში მოიპობიან, როგორც ეროვნება.

ოთხმოცდა ათ მილიონ გერმანელთ პანსლავიზმი ჰეგემონიის გაცამტვერებით ემუქრება და ვერც მილიონ მადიარებს—დაუშვებენ. ამიტომ მე არა მჯერა, ვითომ უნგრელებს გაეგზავნოთ რაღაც დელეგაცია სამთა შეთანხმების სამთავროებში ზავის ჩამოგდებაზე მოსალაპარაკებლათ.

დანიშნა მადიარების ბარონ ბურიანის გერხტოლდის მაგივრათ ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ავსტრო-უნგრეთი, ვიდრე სხვა დროს, ძალიან შორსაა იმ აზრისგან, რომ განკალკევების გზას დაადგეს. (რ. ს.)

ბ.—ბ.

გადაგვიჩნდება თუ არა ჩვენი ძველი ნიდან ჩვენი რწმენის საგნები და ძვირფასი ისტორიული ნაშთები?

უეჭველია, რომ მთავრობის განკარგულება საეთო საკლესიო წმიდა ნივთების გადახიზვნის შესახებ დროის შესაფერი განკარგულებაა.

იგი მთელს რუსეთის იმპერიაშია შემოღებული იმ მიზნით, რომ საშიშ ადგილებში, სადაც ომის ცეცხლი მოსალოდნელია, ხელებული წმიდა ნივთები მტრის ხელში არ ჩავარდეს და სამუდამოთ არ დაიკარგოს. რა საკვირველია, სიფრთხილეს თავი არა სტკივა, მაგრამ ასეთ სიფრთხილესაც ზომიერება და წონ დახედულობა ეჭირება.

ერთი მხრით უნდა ვიცადოთ, რომ ხალხის სათაყვანო ჯვარისა და ხატის, წმინდა ნაშთებისა და წმ. ნაწილების წმინდა ნაშთებისა და მსხვილებლობა სულის აღმორგება არ გამოიწვიოს და მეორე მხრით ასეთი თავდაუჭერელი „სიფრთხილე“ მცხოვრებთა შორის უზომო შიშისა და თავზარის წარმომშობ ფაქტორად არ გარდაიქცეს.

ყოველად შეუძლებელია ასეთ მემთხვევაში მორწმუნე ხალხის ჰსიხოლოგიას ანგარიში არ გაუწიონ.

მეოთხე საუკუნიდან მეთვრამეტეს დამლევამდი საქრისტიანო საქართველოს არა ერთი და ორი მტრის თავდასხმა განუცდია: მონგოლებსა და თურქებს სპარსებს, ოსებსა და ლეკებს ერჯერ და ორჯერ არ გაუვლ-გამოუვლიათ ჩვენს ქვეყანაში სათარეშოთ, მაგრამ ქრისტეს მოსავ ქართველებს თვისი ჯვარი და ხატი თვისი რწმენის კანდელები სამშობლოს გმერთ არ გაუზიდვით: „ჯვარი და ივერია“ მაშინდელ მორწმუნე ქართველს ვახტანგ ორმელიანის თქმის არ იყოს, შეერთებულად გა განუყოფელად ჰქონდა წარმოდგენილი: თითქო ჯვარი ივერიის იცავდა და ივერია ჯვარს.

თვით ჩვენი წმიდა მოწამენი, დავით და კონსტანტინე, ქეთევან წამებული და სხვანი ქრისტიანული დიდი აღფრთოვანების და მამულიშვილობის შედეგს წარმოადგენენ.

და ამიტომ მტრის შემოსევის დროს ქრისტეს მსხვეპელი ქართველობა თვის ცხოველი სარწმუნოების საგნებს თვისი სამშობლო ქვეყნიდან ცხრა მთას გადაღმა კი არ გზავნიდა სამალავათ, მუხლ მოდრეკით მისგან გამოითხოვდა მხნეობას და ქველობას ასეთი მხნეობითა და რწმენით ბრძოლის ველზე გასული მაშინდელი ქართველი ერთი ათას ამარცხებდაო, გვეუბნება ჩვენი მატიანე.

და მხოლოდ მაშინ, როცა ერთი ქართველი მეომარი მასზე ასობით მოკრიალს მტერს ვეღარ გაუძლებდა, მხოლოდ ასეთს წამს შეიქნებოდა საჭირო ჯვარისა და ხატის და წმიდა ნაშთების გადახიზნა.

და ეს გადახიზვნაც სამშობლო ქვეყნის ფარგალს არ გასცილდებოდა. ბარში თუ მოგვეძალებოდენ, მთა გვიშველიდა, ქალაქი თუ ვერ დაგვცავდა, სოფელი და მიუვალი ადგილები აუარებელი გვქონდა.

და დღესაც იგივე მიუვალი ადგილები საქართველოს არ გამოლევია. ამიტომ თუ ამჟამად მაინც და მაინც განსაცდელის დღე გვიდგება, თვით ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ მორწმუნე ხალხის სალოცავები და სათაყვანო საგნები, მისთვის მხნეობისა და იმედის მომცემი, ჩვენებურათო, ძველებურათ ჩვენსავე მახლობლათ სამშობლო ქვეყნის სავანეებში ვიგულოთ.

ასეთი მაგალითი მრავალი ყოფილა ჩვენს ისტორიაში.

როცა სამცხე-საათაბაგოს ოსმალეთ მიაწყდებოდენ, იქიდან სასწაულ მოქმედ ჯვარსა და ხატს ქუთაისსა და გელათ მოასვენებდენ.

ახლა რომ გელათში სასწაულთ მომქმედი ხახულისა ღვთის მშობელი იმყოფება, იგი შიშინობის დროს სამცხე-საათაბაგო სოფ. ხახულიდან არის მოსვენებული სახიზნათ.

ყოველი ეს კარგათ მოეხსენებათ ჩვენი ეპარქიების უფროსებს და სრული დარწმუნებული ვართ, რომ, თუ დღემდი არ მიუღიათ მხრუნველობა ამ საკითხის შესახებ, აწ მაინც დაუყონებლივ შეუდგენ სათანადო შუამდგომლობის აღძრვას, რათა სიფრთხილით მოიქცენ ამ სახოგადოო განკარგულების შესახებ როგორც ადგილობრივი, ისე მაღალი სასულიერო მთავრობა.

ადგილობრივი სასულიერო მთავრობის უფრომელი უთუოდ მიაწერდა ამ ორი

ლტოლვა სულისა.

(ლირიული (პოემა).

შესავალი.

რბიან ჟამნი... რბიან დრონი...
დღე ღამეს სცვლის, ბნელი— ნათელს
სულიც მისდევს ჟამთა სრბოლას
და დაძებს ნავთსაყუდელს...
მინდა ფიქრთა თაიგული
ლეგა ღრუბლებს ჩავაქსოვო;
ბნელი ღრუბლის ბნელი სახე.
ჩემ სახისთვის ვამოვსწოვო...
მინდა სული დატკბეს
ზღვის სივრცეში შეცაცურო—
ტალღათ ტკბილი მელოდია
მეც ვისწაელო... ამოვსწურო...
მსურს ოცნება—გულის შვება,
მსურს ოცნება სანეტარო,
იქ ვიცხელო, ვინაგრდო,
სად ლიკლიკობს ცელქი წყარო...
მსურს მიწიერ სატრფოს სახე
ის ლაქვარდში ჩავასახო,
და უმწიკვლო სიყვარული
ზედ ემზერემად გამოვსახო...
ჩვიან ჟამნი... ჩვიან დრონი...
დღე ღამეს სცვლის, ბნელი—ნათელს
ჟამთა სრბოლას სულიც მისდევს
და დაძებს ნავთსაყუდელს.

I. მგზნებარე ფიქრთა ღრუბელთ გუნდში.

ფიქრი... ფიქრი... მწარე ფიქრი...
გველის გველზე აკნძული...
ჩემი სულის თანამგზავრი,
ჩემი სულის თაიგული—
ავიღე და გულის ძიებს
ბნელ სამანათ დავახურე,
თვით დაუზმე ლეგა ღრუბლებს,
ჩემ გარშემო მოვიბურე...
აწ ღარ ვარ ის, რაც ვიყავ,
აწ სხვა რამეს დავეძებენ:
თუ დღემდინ ვოცნებობდი,
დღეს ფიქრების ვარ სავანე...
ფიქრებისა შავი ბადე
გულს მეხვევა და მიჭრდილავს—
მაშ გამშორდეს აწ ოცნება:
აწ მე შვება ვერ მიხილავს!..
ლეგა ღრუბლის ბნელი რიდე
ირგვლივ მფარავს და მეხვევა:
მაშ ნუ ნათობს აწ ჩემთვის მზე,
აწ მზის სხივი ვერ მეწვევა!..
დაე, ყველა გამეშოროს,
ყველამ დამგმოს თუ გული;
დაე, მოვკვდე უმეგობროდ,
სევდისაგან დარხეული;
დე ვერ ვნახო, ცის ლაქვარდში,
მთვარე ეშხით მონარნარე;
და ვერც—სატრფო, სულის ტოლი,
შუქ-ნაფეთში პირმცინარე;
დაე ვიყო აგრე მარტო,
შავ ფიქრებით დაფარული;
გარს მეხვიოს სევდის რიდე
ღრუბლებისად მოქარგული...
და თუ სულმა, მწუხრის შვილმა,
სავალალო რამე იგრძნოს,
ჩემი სახის მეტყველება
ღრუბელთ გროვამ გამოიცნოს!..

II. ზღვის ტალღებში.

ზეცით მოსწყდა ქარიშხალი,
მტოკავ ფრთებით გაბა.რული,
ზღვის სივრცეში შესრიალდა,
გადლახა ზღვის უფსკრული.
აიჭარხლა ლურჯი სივრცე,
შეანძრია ზვირთთა მთები,
და სიმღერათ აღაელინა
ტალღათ გრგვინვის მწყობრი ხმები.

—

სული ჩემი ღრუბელს მოსწყდა,
გათამაშდა ზღვის სივრცეში,
და ჰანგები ამოკრიბა
ტალღათ გრგვინვის გრძნეულ ხმებში.

—

დღეს მე თვითონ ტალღათ ვქეც,
ბრძოლის ტალღათ, ბრძოლის
ზვირთად,
ტალღათ ხმები ალვილინე,
ვფიქრე სული ტვირთად...
აწ ვერ მაგნებს მწუხარება,
აწ ვერ მაგნებს ცრემლთა დენა,
როცა თვითონ ტალღათ ვიქეც,
ბრძოლაშია ჩემი ლხენა!..
მეც, ვით ტალღა მონავარდე,
ფიქრთა ზღუდეს ვეჯახები:
ვამსხვრევ, ვარღვევ ტანჯვის
კედლებს,
წინ მივილტვი, წინ მივქრები!..
ვერ შეაკოსობს ამ ჩემს ლტოლვას
ცივ ქარიშხლის ფრთათა ქნევა,
ვერც ძახ-ლი ჯოჯოხეთის,
ვერც დემონის შავი წყვა!..
მწამს და ვიცი გადავლახავ
ჯოჯოხეთურ ტანჯვის კერას,
და ძლევ-ს კეერთხს გამოვსტაცებ
დამარცხებულ ბედისწერას!..

III. მთის ჩანჩქერთან.

ქვეყნად ბრძოლით მოქანცულმა
მთის ცელქ წყაროს მივაშურე,
და ლილეკა შხეფთა წინწყილი
მხურვალ შუბლზე დავიკურე...
გადაკრება სევდის სუსხი,
შვების მდელო ამობინდა,
ცაში მყოფი სიხარული
დღეს ჩემს სულში ჩამოფრინდა...
ვხედავ ჩემს წინ მთის ნაკადულს,
მთის ჩანჩქერათ მოჩხრიალეს;
ვხედავ მზის შუქს იმ ჩანჩქერის
ჭაფთა შორის მოციალეს;
ვხედავ, ვხედავ იგი შუქი
წყლის სვეტში, რომ იმყოფება,
და სვეტს იქით ხავსიან კლდეს,
შვიდ ფერადად ეხატება;
თვალს ატყვევებს სიკეკლუცე,
ყურთა სმენა—სირაკაკე,
და მთელ სულს კი სასიცოცხლო
სიმშვიდე და სისპეტაკე!..
დღეს მე მივსწვდი მიუწდომელს,
ზესთა ძალის სიდეადეს,
დღეს მე მივსწვდი ნატვრის
ყვავილს,
მზე-ფერირის ლეჩაქ-ბადეს!..
ნეტარება—სიხარული
ჩემს კერ იღტვის ერთად ყველა,
და თვალთა წინ დანავარდობს,
ხსნის სიმბოლო ცისსარტყელა.

IV. სულის ხატი.

პიტალო კლდეს დავეყრდნე,
და გავაბე კლდისა გული;
კლდის გულიდან გამოვსჭერი
მარმარილოს—ქვის ასული;
სახეს ირგვლივ მოუყოლე
ანთრთოლი მზისა სხივი;
შთაუბერე ჩემი სული,
ლტოლვის ცეცხლით განღვივე.
რა შეექმენი ჩემი კერპი
ცის ლაქვარდში ჩავასახე,
და უმწიკვლო სიყვარული
ზედ ემზერემად გამოვსახე;
თვით კი დავდეკ მთის მწვრვალზე,
ჩემს სულის ხატს ვუწყე ცქერა,
რა შეენიშნე ცის ღიმილი,
აღვავლინე მყის სიმღერა:

—

„შენ ხატი ხარ სამლოცველო
კრედსაბმელზე ამოსხმული;
შენს ჩარჩოებს შიგ ჩართვია
სათნოება—სიყვარული...
რაც რომ ქვეყნად გაჩენილა
ყველა მიდის, ყველა ჰქრება—
მხოლოდ შენ ხარ ერთად ერთი,
რომ გრგვინა უკვდავება...
შენ შეგებია სიმშოლო ხარ,
ნავთსადგური—ჩაგრულ სულის;
შენ გიცქერის სასოებით
თვალნი ბედით განწირულის—
და ნუ გიკვირს, თუ შენ გეტრფის,
ჩემი სულის ალმფრენა,
შენ ჩემს გულში ააყვავე,
სიხარული, შვება ხარ!..
მეც, ვით მწირი, შენ გიგალობ
გრძნეულ ჰანგით შენარხევი:
მინდა გიძღვნა ულვდავება,
ლოცვა ცრემლებ დანოფრქვევ;
მინდა გრძნობას ამოვსტაცო

კვირის განმავლობაში მომხდარი არ სასიამოვნო ამბავი, რომელიც მღელვების ცოლ შვილის გადახიზნვამ გამოიწვია.

ზოგიერთ სოფლში აღშფოთებული მრევლი მივარდა მღვდელს და მუქარით ეუბნებოდა: ცოლ-შვილს სახიზნათ რუსეთისკენ ნუ ისტუმრებ, შენც იმას გაჰყევი და, თუ გაყევიო, მერმე ნურც ერთი ნუღარ დაბრუნდებითო. საერთო გაპარვების დროს ყველა ერას ტაფაში ენდა ვირაკეპოდეთ.

ასეთს ფაქტს ფრთხილათ უნდა მოკრობა... როგორი სულის კვეთება და განწყობილება დაისადგურებს მორწმუნე ხალხის გულში, როცა მის წმიდა ადგილებს მისი სასოების საგნები თითქო უნებლიეთ მოსცილდება, ძნელი გამოსახანგარიშებელია.

ს. ყ—ნი.

ამონაკვნები.

ძველად ჩემ საყვარელ და უბედურ მეგობარს გოორგი ხერხეულიძე—ფოცხოველებს ხსოვნას.

... შენ ახლა აღარა ხარ, მეგობარო!

დაუნდობელმა ტყვიამ მტრისამ მოგწყვიტა, ვით ყვავილი ველისა და დაგმარხა გვამთა შორის ვერაგობისა, უმღვთოობისა და უსამართლობის მსხვერპლებისა!...

შენ ახლა აღარ არსებობ, მეგობარო!

ველარ დასცინებ შენებურათ კაცთა სიავეს და შორს გამდგარი ლურჯით მოკამკამე კამარა სამშობლოის ცისა ველარ იქნება საგნათ შენის ოცნებისა, აღშფოთებისა, სევდამისიერ ფიქრებისა, ცხოვრების არარაობით გამოწვეულ გულნაკლულობისა!...

ვინ იცის, დაგიხუსეს მაინც უკანასკნელათ მშვენიერი შავი თვალები, დაგიარაცხეს თუ არა უდროოდ გაჭაღარებული გიშერა ქოჩორი, გაგბანეს თუ არა სისხლისაგან!?..

იქნებ ისევ ბრძოლის ველად გდია გვამი შენი!.

იქნებ პოლონეთის ყვავ-ყორანნი გიკორტნან მწუხარ თვალებს?

იქნებ გერმანელთა ჭილ-ყვავებს გაგაქთო შენი ქოჩორი, ან იქნებ ყინვამ რუსეთისამ გათოშა, დაჰკრეხსა ალვათ ზრდილი ტანი შენი და თოლებმა ივი ფეხითა მტრის ცხენებისა!...

სად, სად არის უბედური დედა შენი, რომ ცხარე ცრემლებით არ გაგიღრბოს ფერმკთალ სახეს: სად, სად არის უბედური სატრფო შენი, რომ მღელვრებით არ მოგწმენდოს კოკობ ღვაშებს, გრძნობით არ დაგიკონებ მარჯანა ტუჩებში და არ ჩაგბერს სულს სიცოცხლისას, სულ უკვდავებისას, სულს დაუსრულებელის სიყვარულისას!

მარქვი, სულო ჩემის მეგობრისავ, სად, სად დასტოვე სადგური შენი. მარქვი მოძღვარო მიხეილ, სად არის ღმერთი! სად არის ახლა სული ჩემის მეგობრისაო...

ოხ, რა დუმილი, ოხ, როგორი სევდა მკლავს! ეტყვ ზეკუპრია მთელი ჩემი არსება და მსურს აღარას ვგრძნობდე, აღარა ვფიქრობდე. ტკივილ მერეცა, გული მტკივა უსილვის შანთებით მესერება. თქვენ... თქვენ მაინც შესწყვიტეთ დენა, ცხარე ცრემლებო, ნუ მწვავთ ღაწვებს, ნუ მირევთ ფიქრებს? მე მინდა ვიქცე საყვარათ იერიქონისა და დავკვლომ მთელ ქვეყანას, მთელ სამყაროს: სად არის დასასრული არარაობისა, სად არის ღმერთი დასაძმი უკვდავებისა!..

ია ეკალაძე.

დეპეში.

წყალტუბოს აბაზიების შესახებ.

თავრიდის სასახლეში სამეფო სიგრძის თავმჯდომარეს, პროფესორ რეინს, ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავჯდომარემ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა:

საზოგადო საქმის ინტერესებისათვის დაბეჯითებით ვთხოვთ მოგვლინოს თქვენი ღირსებული წყალტუბოს აბანოების შესახებ, რომელიც ქუთაისის მახლობლათ მდებარეობს და იძლევა ყოველ დღე მილიონზე მეტ ვედრო რადიოკტიურ წყალს.

პირადათ ჩემგან ცნობილია ამ აბანოების უღირსი და გასაკვირალი სამკურნალო თვისება და მნიშვნელობა: თფილი ჰავა, როგორც მაგალითად, დღეს, სიგრილეში 17 გრადუსი სითბოა და 30 გრადუსი კი მზის დროს, ყვავილ ია, ჩირგვები და ხეები, ბალახი, იასამნი და სხვა მინდვრის ყვავილები.

ახალი ამბავი.

✦ ბრძოლის ველზე გმირულათ დაღუპა ჩვენი თანამშრომელი, შტაბს-კაპიტანი გიორგი მიხეილის ძე თავადი ხერხეულიძე—ფოცხოველი.

ვრცელ ნეკროლოგს შემდეგ დავბეჭდავთ.

✦ მოვაგონებთ მკითხველ საზოგადოებას, რომ ხვალ საზოგადო საკრებულოს საზამთრო დარბაზში გაიმართება დიდი სამუსიკო და დრამატიული სალამო ქუთაისის გუბერნიის დარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ. სალამოს შინაარსი:

1) შარაბიძის ლიტბრამთან იმღერებს სტუდენტებისაგან შემდგარი ახალი ხორო.

2) ვ. შალიკაშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება „შვენიერი ელენეს მაძიებელნი“ კომ.-ფარსი 2 მოქმ.

3) ვლ. ალექსი-შესხეშვილის რეჟისორობით რუსულ ენაზე წარმოდგენილი იქნება „წინადადება“ ვოდ. 1 მოქ. ჩეხოვისა.

4) ბ. კარაკოზიანის ლიტბარამთან დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

იმ ახალ კლდის შეკაბა
იქვე იწვევს ახალ ბრძოლას,
ის ბრძოლა კი, მხოლოდ ერთხელ,
ერთხელ მაძლევს შვენით თრთოლას,
და შემდეგ კი ფასსა ჰკარგავს,
ხდება სრულად უმნიშვნელო:
და ჰა, სულიც სხვაგან მიწვევს,
რომ მოვიძებნო სამლოცველო!..

ისევ ვილტვი დაუდგრომლად,
ახალ კლდეებს ვეკაბები,
და ლტოლვის დროს ყურს ჩამწიფის
ბედის წერის მწვავე ხმები:
„ჯა შვებისა ხელში იქნება,
მისი ფასი მიღის, ჰკრება,
მისკენ მხოლოდ ლტოლვა მატკბობს,
ლტოლვაშია ნეტარება.
თუმცა ბოლოს ვერ უპოვნი
უსრულებელ ჟამთა დენას,
ვერ დაუდებ მტკიცე საზღვარს
სულის ლტოლვას, სულის ფრენას,
მაგრამ მაინც ნუ შეღრეჯი,
ბრძოლის ცეცხლით ენთოს გული,
და გწამდეს, რომ ამ ბრძოლაში
ჰპოებ სიცოცხლის ნაკადულის!..“

—

რბიან ქამნი, რბიან დრონი...
დღე დამეს სცვლის, მნელი—ნათელს,
სულიც დასდევს ჟამთა სრბოლას
და დაეძებს ყოფნის ხანთელს.

ს. ურუშაძე.

ქუთაისი, 1 ივნისი.

ცნობილი მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე შესარულებს რამდენიმე ნომერს თავის რეპერტუარიდან.

დასასრულ გაიმართება დიდი ლოტარეა-ალიგრა, ლოტო და ცეკვა.

საღამოს შემოსავლის 20 პროცენტი გადადებულ იქნება ჯარში გაწვეულთა ოჯახების სასარგებლოთ.

✦ ქ. ბაღომის ქალაქის გამგეობას დაუდგენია, რადგანაც თვითმართველობის შემოსავალი ხარჯებს არ ყოფნის, დათხოვნილ იქნეს რამდენიმე მოსამსახურე.

✦ დღეს, 11 იანვარს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის კრება. ხსენებულ კომისიის თავმჯდომარეობს მსაზანი ფ. მგალობლიშვილი.

✦ ობორინის ქუჩა ამჟამათ ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება. ქუჩაში ლუკი სუნი სდგას. საჭიროა ქალაქის სანიტარებმა ყურადღება მიაქციონ.

✦ ხმასანმა—ეკიმმა გიორგი ივანეს ძე ბადრიძემ ხმოსნობაზე უარი განაცხადა. ამის შესახებ ქალაქის გამგეობაში განცხადება უკვე შეიტანა.

✦ 12 იანვარს, ოლქის სასამართლოს დარბაზში, თფილისის სამოსამართლო პალატა შემდეგ პირების საქმეებს გაარჩევს: ცეცხლაძისას, პაკელინისას, გონიასას, ხვორციასას და ვარდო ატოევისას.

✦ ხვალ 12 იანვარს ოლქის სასამართლო გაარჩევს პლატონ ხურცილავას, ვეიზვაიას, ალექი ლატარიას და სხვების საქმეს.

✦ დღეს ქართულ თეატრში დრ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება დენიერის პიესა „ორი ობოლი“. თარგმანი ა. ცაგარელისა.

✦ 9 იანვარს, ქალაქის გამგეობაში მოწვეული იყო ქალაქის საბჭოს საბიბლიოთეკო კომისიის კრება—ბ. ი. ი. ოცხელის თავმჯდომარეობით. კრება წევრების საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

✦ 8 იანვარს შავიქის საბჭოს დარბაზში შესდგა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობის სხდომა. გამგეობამ დაადგინა, რომ ამ წელიწადში თავის 24 სამკითხველოს გამოუწეროს თფილისიდან გაზ. „სახალხო ფურცელი“ და გაზ. „იმერეთი“. აგრეთვე გამოუწეროს ერთ რამელიმე საყმაწვილო ქართულ ჟურნალს.

თფილისი.

გაზეთ „გრანდების“ რედაქტორის საქმე. 5 იანვარს თფილისის სამხედრო გოსპიტალში ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ომის ველზე გაცივებული სათავადარაჟო ჯარისკაცი მიხაკო გიორგის ძე ლომინაძე, გაზეთ „ვარსკვლავის“ რედაქტორი.

— ახალი ტ-ბის საკაცე. 9 იანვარს ბეპპლეს ქარხანაში დაათვალიერეს და გამოსცადეს ახალი ტიპის საკაცე. გამოცდას ერობათა კავშირის მხრივ დაესწრნენ: ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ დი კ. ნ. ფუხაზი, ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი მ. ა. სუმბათაშვილი და ბ-ნი გოლობეევი, ხოლო ქალაქების კავშირის კავკასიის განყოფილების მხრით: ამ განყოფილების მთავარი რწმუნებული, ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი და ქალაქის საბჭოს ხმოსნი პ. მ. დოლუხანოვი. საკაცის დემონსტრაცია მოახდინა სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ინჟენერმა ი. ა. აკუნოვმა. საკაცე მზადდება თვით სახელოსნო სასწავლებელში. ეს ახალი ტიპის საკაცე ბევრად გაუმჯობესებულია და ადვილად მოსახერხო. წინად ერთი კაცის გადასაყვანად საკაცს სჭირდა ორი ცხენი და ორი უნაგირი. ამ საკაცის ხმარების დროს კი საკმარისი იქნება ერთი ცხენი და ერთი უნაგირი. საკაცის გამოცდა გაგრძელდება მომავალ ორშაბათს, 12 იანვარს.

წერილი გურიიდან.

ამ რამდენიმე წლის წინეთ **ბაზვი** მთელს გურიაში მოწონებულ სოფლად ითვლებოდა. ეს სახელი მან დაიმსახურა სხვადასხვა კულტურული დაწესებულებებით, როგორიც არის სკოლა, სამკითხველო, შემნეხველ-გამსესხებელი ამხანაგობა და მომხარებელთა საზოგადოება. იმ კუთხეში დროში ბაზვი ჩქარის ნაბიჯით წინ მიდიოდა და ტონს ალენდა მეზობელ საზოგადოებებს მაგრამ ერთი დრო ვის შეარჩენია? ბედის უკუღმა ტრიალმა ბაზვის წინამსწრებლობა შეარჩია, შემდეგში უკან დასწია და იქამდი მიიყვანა, რომ, ის ამ უკანასკნელ დროს ჩამორჩა სხვა საზოგადოებებს. დაიხურა, გარდა სკოლებისა, ყველა საზოგადო დაწესებულებები, აღარ შეარჩა არც სამკითხველო, არც საზოგადო დუქანი (მომხმარებელი საზოგადო დაწესებულებება) და არც შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა. ამ ეთმა გარემოებამ, რა თქმა უნდა დიდათ დააკნინა საზოგადოების გულშემატკივარნი, მაგრამ არა გაეწყვიტათდა, იძულებული გახდენ თავის ბედს დამორჩილებოდენ.

მე მინდა სხვათა შორის მკითხველს გავაცნო მოკლე ისტორია სამკითხველოსი. დაარსებული სამკითხველო დაიხურა, თანამდგ საზოგადო დებულებისა, მოძრაობის დროს. წიგნებმა თავი ამოჰყო შავ ლუქიან ყუთებში და შენობა დაიბეჭდა. ბევრი ცქადა ადგილობრივი მოწინავე ჯგუფი სული ჩაეხდა მისთვის, მაგრამ ყოველივე ცდამ ამაოდ ჩაიარა.

1911 წელს სამკითხველოს შენობას ელიხა კარგის გაღება, მაგრამ თავის დანიშნულების ასასრულებლად კი არა!.. შიგ მოკალათდენ მთავრობის მამასახლისები თავიანთი ჯალაბებით. (ერთმა ახალ-გაზრდა მოსწავლე ქალმა მთავრობის მამასახლისისამ ასეთი წარწერით გააბედნიერა ბაზვის სამკითხველოს კედელი „1914 წ. აქ ვიდექი და რამდენ ხანს აქ არ მოვიდე, (იმ დროს გადაიყვანეს მისი მამა ბაზვიდან) იმდენ ხანს არ ადგა გურულების გვერდი“) და მერმე მამასახლისის ჩაფრები, ინგუშები, ამათ რა თქმა უნდა, სულ მუსრი გაავლეს უბატრონოთ დარჩენილ წიგნებ-ჟურნალებს, სულ სახედვე ქალალდებით მოიხმარეს, და თვით შენობა, უკრები მთლად დაამტვრიეს. მაგრამ არც ეს დრო გამოდგა მუდმივი. მოატანა 1914 წლის მეორე ნახევარმა ბაზველების თხოვნა-მუდარაც ისმინა ახალ-მა მთავრობამ და ბ-ნ დ. ინწკირველს ნება დართო ხელახლად გაეხსნა მრავალ-ტანჯული უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო. ნებართვის მიღე ისთანავე არწყულ იქნა გამგეობა ხუთის კაცისაგან შემდგარი და—კომისია სამკითხველოს წესდების შესამუშავებლად. გამგეობა იმავე წამში შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. მოუწოვა სამკითხველოს საპატიო წევრები, რომელთაც ერთდროულად საგრძნობი დახმარება გაუწიეს სამკითხველოს, ჩასწერა სამოცდა ათამდე მუდმივი წევრი, შეაკეთა შენობა, შეაფერი და გამოუწერა რამოდენიმე გამოცემა, მიუჩინა მუდმივ მეთვალყურე, ერთის სიტყვით თავის ოთხის თვის შრომით გამგეობამ სული ჩაუდგა სამკითხველოს.

1914 წლის დეკემბერში გამგეობამ მოახდინა წევრთა საზოგადო კრება, კრებას წარუდგინა სამკითხველოს შემოსავალ-გასავლის ანგარიში და მიუთითა სამკითხველოს სხვადასხვა საჭიროებაზე. კრებამ განხილვის შემდეგ ანგარიში დაამტკიცა. თითქმის შეუცვლელად მიიღო კომისიის მიერ შემუშავებული წესდება და დაუფლავი შრომისთვის გამგეობას დიდი მადლობა გამოუცხადა.

აი ასეთია ბაზვის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს მოკლე ისტორია, მაგრამ, ვგონებ, შეცდომა იქნება მას წიგნთსაცავი ვუწოდოთ, რადგან შიგ წიგნები ძლიერ ნაკლებია. ძველი წიგნები, რომ გორცა ვსთქვით, ზოგი სახევე ქალალდებათ მოიხმარეს და ზოგიც თაგვებმა დაღრღნეს.

კარგი იქნება რომ, ბაზვის საზოგადოების შვილები, რომელნიც დღეს სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობენ, ხელს გაუწვდიდენ ბაზვის სამკითხველოს და გამოუზავნიდენ მას თითო-ოროლა წიგნს. ამით დიდ შემწეობას აღმოუჩენენ საზოგადოებას – მეტადრე ახალგაზდობას, რომელსაც დღეს დიდათ აინტერესებს წიგნების კითხვა, მაგრამ ამის საშალებას კი მოკლებულია.

დიახ.

ბაზეთებით დახმარება დაჭრილ მეომართათვის.

დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში ურნალ გაზეთების კანტორა „იმერეთი“-ს გამგე ის. კვიკარიძემ გადასცა დაჭრილ მეომართათვის ქუთაისის საგუბერნიო მზრუნველ კომიტეტს კავკასიის და სატახტო ურნალ-გაზეთები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე 26 მან. და 35 კაპ.

ეს საახალწლო საჩუქარი ხსენებულმა კომიტეტმა უკვე დაგზავნა კავკასიის მე ბრძოლათათვის კავკასიის სხვადასხვა ქალაქების ლაზარეთებში. დასარგებლეთ.

როგორც გავიგეთ ბრძოლის ველიდან ჩამოსულთაგან ბრძოლის ველზე მყოფ ქართველი მეომრები ძლიერ ნატრობენ ქართულ ჟურნალ გაზეთებს და თითოოროლა ცალს თუ სადე შემოხვევით წაავწყდებიან და ხელში ჩაიგდებენ, ერთიმეორეს ხელიდან გლეჯენ წასაკითხათ, სამშობლო ქვეყნის ამბების გასაგებათ.

საჭიროა ხსენებულ კომიტეტების და სხვა საშვალებებით ჩვენი რედაქციები და ქალაქებში გაზეთების მკითხველები გაუყიდვად და წანაკოს გაზეთებს ავროვებდენ და უგზავნიდენ ბრძოლის ველზე მეომრებს და ლაზარეთებში მათ დაჭრილ ძმებს.

ერთი მისამართთაგანი მათთვის გაზეთების გადასაგზავნი ჩვენ გადმოგვცა ბრძოლის ველზე, ყარსში მყოფ ბეითალმა ბენედიკტე ლეკვამ, რომელსაც ორიოდე დღე ეხელოვნებია და ქუთაისში ჩამორაბინა ოჯახის დასათვალიერებლათ და ნაცრან-მეომრების სანახავათ და თავისან და სხვების თავვადასავალის, ამბების გასაზიარებლათ.

ხსენებულ მაზსისთვის მან დაგვიტოვა შემდეგი მისამართი: ქ. ყარსი —მეოფიციე გრიგოლ იშნელს მეომართათვის გადასაცემათ.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ამ მისამართს გაზეთის საშვალებით ვაქვეყნებთ, რათა, მით მომეტებულმა ნაწილმა ისარგებლოს ამ კეთილი მიზნისთვის.

ისო.

სოფლის საზოგადოებათა საყურადღებოთ!

ვილაც-ვილაცები, როგორც ამას გადმოგვცემენ, ბოროტათ სარგებლობენ ჩვენი სახელით და სამეგრელოს თიუქის ყველა სოფლებში და საზოგად ობებში აფრქვევენ ზმებს თითქოს მე ვაცისკრებდე დრამის ფულის და სხვა წვრილ გადასახადებების მოპობას და ამისათვის ვითომდაც ჩემთვის გადმოსაცემად ფულებიც კი აუკრეფიათ. ამით ვაცხადებ, რომ ეს აშკარა შანტაჟისტური მოქმედებაა. არავითარი ამის მსგავსი მე არც მითქვამს და არც მიფიქრია.

ევგენი გეგეჭკორი.

ოცი დაჭრილი ქართველი ჯარის-კაცისგე.

ეკატერინოდარის საავადმყოფოში.

ჯერვენჯე გიორგი ივანეს-ძე, წოკლური სიმონ სიმონის-ძე, ნუნუკაშვილი ლია ალექსის ძე, ხუციძე ანანია ნიკოლოზის ძე, ჩუხრუკიძე იაკობ წულოსის ძე, ყურაშვილი კონსტანტინე მიხეილის ძე, ანჯაფარიძე ლევან ისაკის ძე, ტლაშაძე ივთანდილ ბესიონის ძე, ხერგიანი მამანტი ბექიას ძე, გზირიშვილი ივანე გრიგოლის ძე, ჟღენტი სიმონ აყაფლიშის ძე, გრიგოლაშვილი მიხა გიორგის ძე, გორიჯაშვილი არშაკ ზურაბის ძე, დუჩიძე აღექსანდრე მალაქიას ძე, მარახაძე სამსონ დიმიტრის ძე, ობგაძე გიორგი გიორგის ძე, სოროზაშვილი სიმონ ივანეს ძე, გელაშვილი თადეოზ როსიფის ძე, ფაღავა ვარლამ ადარიონის ძე, აფქარიძე არჩილ მინის ძე, ფიცხელაური გაბრიელ ივანეს ძე, გოგიბერიძე არაკოზი ბექას ძე, ასანიძე ვასილ აღდგომის ძე, დუნდუა კონსტანტინე (გამოყვრა), ნიორაძე პოლიკარპე პატრეტის ძე, აყვაშვილი ანტონ, ლიდიძე აღექსანდრე ბესიაონის ძე, ლომიაშვილი ესტატე გიორგის ძე, რამიშვილი პლატონ გიორგის ძე, გუნცაძე იაკინთე სიმონის ძე, ხომასურიძე ტარიფონ უფლისას ძე, ხუციშვილი ლუკა იოსების ძე, ჩადუნელი სანო ლევანის ძე, ნოზაძე გიორგი თევდორეს ძე, რიონაშვილი ზაქარო დავითის ძე, გეგელაშვილი გაბრიელ იოსების ძე, კოტია გიორგი სიმონის ძე, ჩერგეზია ბასა ბაკას ძე, ბოკუჩავა პიტერ ტარიელის ძე, კორკოტაძე იოსებ ილიკოს ძე, ბიძინაშვილი ზურაბ შოს ძე, ნაბახტეველი იაკ ლაზარეს ძე, ბერანიძე ნიკოლოზ დიმიტრის ძე, ზოზიაშვილი მიხა ივანეს ძე, ბტაშვილი შალიკო მიხას ძე, ვაშაყიძე დავით კიმოთეს ძე, ლომიძე მიხეილ გრიგოლის ძე, პატარაია დომენტი შამონს ძე, დურაშვილი ნიკო მიხას ძე, ებიაშვილი დავით მიხეილის ძე, ფოფხაძე თეოფილ ანდრიას ძე, ტაბატაძე იპოლიტე ილარიონის ძე, ხაჯა-

ლია ბესარიონ გიორგის ძე, ჩადუნელი ედიშერი ივანეს ძე, წინწყალაძე ტიმოთე ივანეს ძე, სერგაშვილი იოსებ ფრიდონის ძე, დოღნაძე ნესტორ დავითის ძე, კობერიძე ამბაკო ლეონისავრის ძე, რამაშვილი კირილე გიორგის ძე, აფციაური ფანე ბასილის ძე, ჯავახაძე სევერიან კონსტანტინეს ძე, ღვინეფაძე ვასილ სამსონის ძე, ჯაბაშვილი მოსე ბასილის ძე, ნაცხვრიაშვილი ნოსე გაბრიელის ძე, ბასილაური იოსებ იმედას ძე, ნუნაშვილი ვანო სანდროს ძე, ხეთაგური გიორგი ნიკოლოზის ძე, ბაშალეიშვილი სევერიან ლუკას ძე, ფრანცხლაშვილები ვასილ ივანეს ძე, თავაძე ვიქტორ ბერიოვის ძე, ზუბითაძე დარიამან დიმიტრის ძე, რაზმაძე ივანე ანდრიას ძე, სატრაპიძე (ტრაპაიძე) პავლე ალექსანდრეს ძე, მაზმიშვილი თედო სოლომონის ძე, წიქორაძე ვასილ სპირიდონის ძე, შავნგორაძე პოლიკარპე თევდორეს ძე, ადარაშვილი დავით ნიკოლოზის ძე, ურუშაძე ბარნაბა ივანეს ძე, ზუმბაძე პავლე თავლის ძე, ციხელაშვილი დავით გაბრიელის ძე, ჩიხლაძე გენო ლუკას ძე, ნოზაძე ზაქრო დავითის ძე, კოზონაშვილი ილარიონ ნიკოლოზის ძე, თენგაძე დავით მიხეილის ძე, დვალიშვილი ივანე ანდრიას ძე, არაბაშვილი დავით ანდრიას ძე, ელისუფოვი გიგო ივანეს ძე, ალიაშვილი მათე ილარიონის ძე, ნაღარუზაშვილი ანდრია დიმიტრის ძე, ღვედილიშვილი სტეფანე თედოს ძე, ქნქაძე გიორგი საბას ძე, გლაშვილი გრიგოლ იოსების ძე, ხურუშვილი გიორგი ალექსის ძე, მჭედლიშვილი ილია გაბრიელის ძე, დადელიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, ლალიაშვილი თადეოზ შალვას ძე.

უმორჩილესათ ვთხოვ სხვა ტურნალ-გაზეთებს ქვემო მოყვანილი სტრიქონები გადაბეჭდონ.

ქალაქ ეკატერინოდარში ასზე მეტი დაკრილი და დაავთმყოფებული მეომრები იმყოფებიან სხვადასხვა საავთმყოფოებში. მათი თხოვნა ქართულ პატრიოტულ საზოგადოებასთან და ქართულ ტურნალ გაზეთების რედაქტორებთან შემდეგია: „ყველა ინტერნ და მოკავშირენ ქართული ტურნალ-გაზეთები და წიგნაკები". ჩვენი მეომრების თხოვნა მით უფრტეს საყურადღებოა, რომ ქ. ეკატერინოდარში ორი ათი ინტელიგენტი ქართველი სცხოვრობს, რის გამო ქართულ გაზეთებს და წიგნაკებს იშვიათად იშოვის კაცი.

ტურნალ-გაზეთების და წიგნაკების გამოგზავნა შეიძლება მეომრებისათვის შემდეგი მისამართით: Екатеринодаръ (Куб. обл.) Кубанское Александровское реальное училище Н. Ч. ამ სასწავლებელთან არსებობს მოწაფეთა დამხმარე რაზმი, რომელიც აწვდის დაჭრილთ გაზეთებს, ჩვენ მეომრებსაც მათი საშვალებით გადაეცემა ტურნალ-გაზეთები და წიგნაკები. ego.

——

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ სია იმ დაჭრილ და ავთმყოფ ქართველ ჯარის კაცთა, რომელნიც იმყოფებიან ქ. მოსკოვის საავთმყოფოებში. აქ არსებობს მოსკოვის საკომერციო ინსტიტუტის ქართველი სტუდენტებისაგან შემდგარი „მფრინავი რაზმი", რომელსაც მიზნად აქვს დასახული გაუწიოს ზნეობრივი და შეძლებისდაგვარად ნივთიერი დახმარება, იმ დაჭრილ და ავთმყოფ ქართველ ჯარის კაცთა, რომელნიც აქ იმყოფებიან. წერილის გამოგზავნა, ამბის გაგება, წაკითხული გაზეთებისა და პატარა წიგნაკების გამოგზავნა ჯარის კაცთა გადასაცემათ, რომელიც ჩვენგან გამოგზავნილ სიაში იქნება მოთავსებული, შეიძლება იმ საავთმყოფოებში, სადაც დაჭრილნი იმყოფებიან და აგრეთვე ჩვენგანაც შემდეგი მისამართით:

Москва, Большая Полянка, д. № 44, кв. 33. Студенту Моск. коммерч. института, Георгію Константиновичу Масхарашвили.

ლეიბ-გვარდიის სახელოვან. ლაზარეთში, კალუშსკაია ქ.

1. ჩუბინიძე, სამუელ ბეროს ძე, ავათ არის. შორაპ. მაზრა, სოფ. საბანო.

2. ჭავჭავაძე სანდრო ბეროს ძე, დაჭრილია გვერდში, ქ. თფილისიდან.

მარინსკის ლაზარეთში, პრეჩისტენკაზე სახ. № 19.

3. დარაბელია მიხეილ, თავლი ავქს დაჭრილია, ქ. ბაქოდ.

4. კოსტავა ვარლამ, დაჭრილია ფეხში, ზუგდ. მაზ. ს. ხორგა.

Царскаго Села госпит. дворца лазар. Попечительства № 20.

5. პაპაშვილი პეტრე, დაჭრილია ხელში, თფლ. მაზ. ს. კალაური.

Воронцовскомъ дворцѣ лазаретъ для раненыхъ въ ногу.

6 ჩიჩლაძე, იოსებ კიკოს ძე, ავათ არის.

Рогожинскаго кладб. лазар., бывш. Сергіевская, № 4.

7. გოძაძე, ლავრენტი ნიკოლ., დაჭრილია ხელში, ქუთაისის გუბერნია, დ. ხონიდან.

8. ბურჯანაძე, ალექსანდრე გერასიმეს ძე, დაჭრილია ხელში, ქუთ. გუბ., სოფ. ობჩა.

9. ჯავახიძე, იაგორ პიპიას ძე, დაჭრილია ხელში, ს. მუხიანიდან.

10. კუპარაშვილი, სამსონ ივანეს ძე, დაჭრილია ხელში, ქუთაისის გუბ., ს. ობჩა.

Крестовоздвиженскій госпиталь Попечительства Императрицы Маріи Ѳеодоровны. Большая Итальянская, № 37.

12. იობაშვილი, ვასილ ანდრიას ძე, დაჭრილია ხელში, სოფ. ქრისტოფორიდან.

Вяземскій лазаретъ. Большая Итальянская.

13. ქაცმაზოვი, ვასილ ალექსის ძე, დაჭრილია ხელში, ოსი არის, სოფელ ძაგნიდან.

Дворцовый госпиталь Ея Императорскаго Высочества Принцессы Ольденбургской. Офицерское отдѣленіе.

14. შავლაძე, გრიგოლ ალექსის ძე, დაჭრილია, სოფელი ობჩა, ქუთაისის გუბერ.

15. არჩვაძე, ნიკოლ. გიორგის ძე, ავად არის, თფ. გუბ.

16. ჭანტურია, ვლადიმერ ივანეს ძე, დაჭრილია, ქ. ქუთ.

Дворцовый госпиталь № 4 Попечительства Императрицы Маріи Ѳеодоровны.

17. ნოზაძე, გედეონ ფარსადანის ძე, დაჭრილია ქუთაისის გუბ., სოფელი სახერიანდან.

Военный госпиталь Его Императорскаго Высочества Принца Ольденбургскаго, № 3, Большая, № 8.

18. ქებურია, ივანე გვაჩას ძე, დაჭრილია ფეხში. ზუგდიდიდან, ქუთაისის გუბერნია.

19. ჯანელიძე, ვასილ გერასიმეს ძე, დაჭრილია და ავათ არის ქუთ. გუბ., ს. უხუთი.

Военный госпиталь Его Императорскаго Высочества Принца Ольденбургскаго, № 3, Большая, № 8.

20. ძიძიგური ალექსანდრე, დაჭრილია ფეხში.

პატივისცემით,

მ. კ. მასხარაშვილი.

თეატრი და ხელოვნება

ედმონდ კინი.

დრ. 5 მარ.

ადგ. დიუმა-მამოსი, თარგ. გ. გუნიასი. ბენეფისი გდ. მესხიშვილისა ხუთმაბათი, 8 იანვარი, 1915 წ.

ედმონდ კინი—ისტორიული პიროვნებაა—გამოჩენილი ინგლისელი მსახიობი. ცხოვრობდა 1787—1833 წწ. მამა მისი თეატრის დურგალი იყო, დედა კი დევ აქტრისა.

ოთხი წლის კინს სცენაზე უხდებოდა თამაში. მონაწილეობდა ბალეტში. როდესაც კინი სკოლაში მიაბარეს, გაიქცა იქიდან და გემზე იუნგად შევიდა, მაგრამ მეზღვაურის ბედი არ მოეწონა და თავი რომ დაეღწია მუნჯობა და სიკოკლე მოიგონა. 1808 წელს ცოლად შეირთო გამოჩენილი მსახიობი ქალი მისს სიდდონსი. კინს დიდხანს არ უდომოდა ბედი პროვინციაში, რადგანაც არა სასცენო გარეგნობა ჰქონდა და დაბალი ტანისაც იყო. 1814 წელს ლონდონში დრიურ-ლენის თეატრში შეილოკი ითამაშა და მით საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. საერთოდ შექ პირის პიესებით კინმა დიდი ტრაგიკოს სახელი მოიხვეჭა.

ხასიათით, როგორც ბავშობაში, ისე დიდობის დროსაც, მეტად დაუდეგარი იყო, ბევრი აურზაური შეხვედრია, სასაც ბატონობილისაც ხშირად მოუწევია მის ცუდი გვერდება იქონია მის ჯანმრთელობაზე და სცენაზე თამაშობის დროს ცუდათ გახდა, ლოგინად ჩავარდა და ორი თვის შემდეგ წუთისოფელს გამოესალმა. უკანასკნელად ითამაშა ოტელო 1833 წელს.

ასეთია მოკლეთ კინის ბიოგრაფია. მისმა ცხოვრებამ: ერთის მხრით ნიჭმა და მეორეს მხრით გარყვნილებამ საბაბი მისცა ალ. დიუმას კინის ცხოვრებიდან დაწერა ის, რაც ხუთმაბათს ქართულმა დრამ წარმოადგინა. მეორე სახელი პიესისა არის: გენიოსობა და სალახანობა. ისტორიაში ხშირია მაგალითი, როდესაც ერთსა და იმავე პიროვნებაში უმაღლეს გრძნობებთან ერთად ბუღალს უმდაბლესიც. გაიხსენეთ თუნდა თანამემამულე კინისა—საქვეყნოთ ცნობილი XIX საუკუნის დიდება ინგლისისა—ბაირონი.

თვით ედმონდ კინი—უნიჭიერესი მსახიობი, მეტად კეთილი ადამიანი, მეგობარი უილსის პრინცისა—უბრალო ყაბანაჯებში მეზღვაურებსა და მაწანწალებთან ერთად ლოთობს, მეშტი-კრივსა მართავს.

კინი გენიოსია, შემომქმედი სცენაზე, ღმერთ გრძნობისა, მაგრამ ისიც ადამიანია.

აი იქ არის ტრაგედია მსახიობისა თვით კინი ამბობს: მსახიობის შემოქმედება კვდება მსახიობთან ერთად, ის ვერ დასტოვებს ვერავითარ კვალს თავის სიკვდილს შემდეგ, ეგ კიდევ ცოტაა. მსახიობი ერთიანად ეკუთნის საზოგადოებას. მას არა აქვს კერძო ცხოვრება. არ შეუძლია საკუთარი გრძნობით იცხოვროს. მუდამ სხვის ზრახვათა მატარებელია.

კინი—ეს გენიოსი—სათაყვანებელი არსება საზოგადოებისა, თვით მონაა ამ საზოგადოების და განდეგილი ამ საზოგადოებისგან. თუმცა უელსის პრინცი მისი მეგობარია, მაგრამ მასთან ხმელში გასვლას უკადრისობ, როგორც არა სწორთან და თუ პრინცი მეგობრობს კინს—ესეც მხოლოდ თავისი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

დიუმის ნაწარმოები—ცქრიალა, გამქვა ვალე, აქაფებული შამპანურია, რომელშიც ნაზად და კოკტელ ჩაქსოვილია ტანჯვა, ტრაგიზმი კინის განცდათა.

შამპანურის მავიერად ჩვენმა დასმა მოგვაწოდა მღვრიე რიონის წყალი, ისიც დაუშავი. რას იზამ? ასეთია ყველა წარმოდგენა ქართული თეატრისა. ჩვენი სასცენო ხელოვნება შაბლონს ვერ გასცილებია და ერთხელ და სამუდამოთ მიღებული სტერეოტიპ თ იოლად გადიან ფონს. რა საჭიროა გარჯა, მეცადინობა, შესწავლა პიესისა. ქუთაისის საზოგადოება ისედაც მოისმენს დამყაყებულ შელოდრამებს, ნათამაშევს დღიდან თეატრის დაარსებისა. საუმჯობესო სარეპერტუარო პიესები მელოდრამებია: ორი ჯიბგირი და ორი ობოლი.

ასეთ შემთხვევაში გასამართლებელია ედმონდ კ-ნც. თუმცა დაძველებული პიესაა, მაგრამ მაინც ნიჭიერი ავტორისა და ნიჭიერად დაწერილი, მით უფრო, რომ ეს სამენეფისო იყო არჩილის ჩვენი სცენის სიამაყე—მესხიშვილისთვის. მართლაც, ბ. მესხიშვილი თვით ედმონდ კინია. ასეთი მდიდარი პლასტიკა, მიმიკა, ინტონაციები როგორიც მესხიშვილის განკარგულებაშია—მხოლოდ ჩრიელს ხვედრია. მიუხედავად მისი მაღალი ნიჭისა—მგონი, დაღლილობის გამო, ერთის სიმძიმავით ვერ ჩაატარა მესხიშვილმა თავისი როლი, მაგრამ იგი იქნებით კეთილშობილი ინტელიგენტი მსახიობია, რომ გარდა ერთი უმნიშვნელო დეფექტისა ვერაფერს ვუსაყვედურებთ.

მესხიშვილმა იცის რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ ხაზს მხატვრული მთლიანობისათვის და ამიტომაც გასაკვირია, რად არ მოახერხა პარიკის პარიკით შეცვლა, იქნის მაგივრად, რომ ზედვე გაეთებინა. ამან ზიანი მისცა მას გარეგან ფორმას, რომელიც ასე თვალწარმტაცი იყო თავიდან ბოლომდი.

თუ ზოგიერთი მომენტები მესხიშვილისა მკრთალი იყო, ეს მხოლოდ იმის მიზეზით, რომ ზოჯერ მეტად ძძლ ვარ ექსპრესიის წყალობით იმ სიმაღლემდი აღიოდა, რომ მიმენელსა და მაყურებელს სუნთქვა ეკვროდა. როდესაც კინი—მესხიშვილი ყავახანაში სკამს წამოაგდებს ხელს და უნდა ლორდს დაკრას თავში მთელი უსიამტკო სცენა იყო, საკმაოდ ხანგრძლივი, მაგრამ იმდენად ღრმა და სავსე შინაგანი განცდით, რომ მთელი დარბაზი განაბული მიჯაჭვული იყო სცენას.

აქ მახსენდება ერთი ანდაზა, „რა ქნას კარგმა მონარდემა დროზე შაში თუ არ მოვთო", იმას, რაც მესხიშვილი—ხელოვანი თავის შემოქმედებით აშენებდა და ანგრევდა ყველა სხვა მონაწილე ამ საღამოსი.

(დასასრული იქნება).

მგალობ.

დაბა-სოფელი.

დ. ხობი (ზუგდიდის მაზრა). ეს დაბა მდებარეობს ზუგდიდის მაზრის აღმოსავლეთ მხარეში და გაკაპიწულია მდინარე ხობისწყალის ნაპირას. აქ არსებობს უფასო სამკითხველო, სადაც ჯერ-ჯერობით მხრტო ფურშადა ამეოებება და ახლოს-მახლო მდებარე სოფლები, უეჭველია გაჰხ დიდ გაჭრებას განიცდიან. სამკითხველოს აქ დრისე არ აღებენ, ვიდრე ფურშადა სამკურნალოში მოვიდოდეს და სამკურნალოს გაადებდეს, ხალხი ეზომი მაჭაზე ჭერა.

აქვე არსებობს უფასო წიგნსაცავ-სამკითხველო ალია შკაჭკაჭის სახელობაზე. გვაქვს ბევრჯერ ითხოვეს და ორ-კვასანი სამხანტრო სასწყალებელი, სადაც ხუთი მასწავლებელი ასწავლის. სასწავლებლის შენობა დაძველებული იყო. დ. ხობის სახოგადოებამ მოაწყო ახალი შენობის გაკეთება და სურვილი გადეც სასრულეში მოაკვანეს.

ამასწინათ განზრახვა ჰქონდათ ეს სასწავლებელი ოთხ-კვასიანით გადეკეთებინათ მაგრამ ჯერჯერობით ადრა ამისი რა.

ძველად კარგს ანეგებენ ხოლმედა, რომ განზრახვის სასრულეში მოაყვანდენ და აგრეთვე სამკითხველოსაც უურადღების მოაქცევდენ.

ვარ. ხობისპირელი.

სავაჭრო
დ. ქებაძისა.

ჟორნალების ქუჩა.

იყიდება ნარდათ ოყელეგვარი სააბაკალეინო საქონელ... უტეუარ ფასებში. 10—

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშვო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ოქვის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 საუთამდი.

გვერდით გამართულია **ცნობილი საქანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება . . . . . 20 კ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . . . . 20 „
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . . . . 15 „
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე . 10 „
„ იგივე, კარდონზე გაკრული . . . 25 „
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი . 50 „
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი . . 3 „
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божія . . . . . 20 „
7) ს. გორგაძე. საქართველოს ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., შეორე გამოცემა . . . . . 35 „

აქვე იმყოფება საყოველთაო შემდეგი წიგნებისა.

1) გუთნი, ოჯახსა და შკოლებში საკითხავი წიგნი, შედგ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით . . 85 „
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყებით შკოლებისათვის, ყდით . 20 „
3) ს. რობაქიძე, სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . . . . . 50 „
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . . . . 30 „
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . . 50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-XIX ს. ქართ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. . 70 „
7) მისივე. იგივე. ტ. II. . . 70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ცომბელინი, ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . . . . . 20 „
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . . . . 15 „
10) ა. ჭიკანძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყდით . 60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე . 10 „

ძუსული და ქართული კატალოგები მსურველთ